



წელიწადი  
 XVI  
 გამოცემის  
 1926  
 თბილისი


# № 15

ფასი 25 კპ.



### სილიბისტრო თოდგია

ქართ. მწერალთა კავშირების გაერთ. ყრილობაზე სრ. საქ. მწ. კავშირის საბჭოს თავმჯდ. ერთმხედ არჩეული.





1. ივ. გომართელი — ლამარა.
  2. კოლაუ ჩერ — ი ლადო გულიაშვილის მხატვრობა „ლამარა“. ში.
  3. როდიონ ქორქია — ნიღბით.
  4. თამარ გოგლაშვილი — ძველი წერილები.
  5. ტრიფონ რამიშვილი — პირველი სასუქარი.
  6. ნინო თარიშვილი — უსათაურო.
  7. ევ. შპერლ-ვრონსკი — როგორ აღიზარდა მომღერალი.
  8. სერ. ესენინი (თარ. მიქ. პატარძის) — სიმღერა ძალზე.
  9. რ. რონელი — რომენ როლანი.
  10. ი. ინაშვილი — სახითმეტყველების მეცნიერება.
  11. გრ. ნათაძე — პირი მზისაკენ.
  12. შ. ა. — ი იმპროვიზაცია.
  13. შ. კ. — ქართული საოპერო სტუდია.
  14. L-li — (კაიუს პელი) — ლიტერატურულ სინდისის პატივისცემისთვის.
  15. შ. იმედაშვილი — ღია წერილი.
- სრ. საქ. მწერალთა ყრილობა, ქრონიკა სურათები.

## სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა

(1926 წ. თებერვლის 21—24 ხელფანთა სასახლეში)

ყრილობას დაესწრენ დღევანდები მწერლობის ყველა მიმდინარეობისა და სტუმარნი. პირველი მოხსენებით გამოვიდა მთავრობის წარმომადგენელი აბხ. ფ. მახარაძე. მისი მოხსენების საგანი იყო „მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები“.

შემდეგ მოხსენებანი წარმოადინეს ნ. მიწეშვილი (სახელმწიფო გამომცემლობა), ი. გუდგენიშვილი (ხელოვნების საქმეთა მთავარ სამუხოს მუშაობა), კ. მაყაშვილი „ხელოვნების სასახლე“. მოისმინენ ახალი წესდება და სხ. სიტყვებით გამოვიდნენ: ვ. ბარნოვი, ე. ზახტაძე, კ. გამსახურდია, ე. კოტეტიშვილი, ვ. ინგოროყვა, რ. კალოაძე, ბ. უდნტი, პ. იაშვილი, პ. ქაეთარაძე, ნ. ზომღვეთელი, ლ. მერვეელი, მ. ჯავახიშვილი, არ. ჭუმბაძე, ს. ერთაწმინდელი, შ. ნათელუელი ს. ჩიქოვანი, ე. ლოლობერიძე, ნ. ჩაჩავა, ლ. ესაკია, ბ. ბუაჩიძე. სხდომის დასასრულს აირჩა სამუხო ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელთაგან: ძველი კავშირიდან — 7 კაცი, ყანწელები — 5, პროლეტარული — 5, ფუტურისტები — 2. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აბხ. ს. თოდია, მის აზნაგებად ს. აბაშელი და გრ. რობაქიძე. ყრილობამ დაადგინა კ. მაყაშვილს საგანგებო სამადლოებელი სიგელი მითრთავს 9 წლ. თავმჯდომარეობისათვის. დასასრულს დამსახურებულ მწერალთაგან საგანგებო დღევანცია გაიგზავნა საქართველოს გასამტკიცების 5 წლ. თავის შესრულების გამო სავიზო სხდომაზე მწერალთა კავშირის მხრივ მისალოცვად.

### მიიღება ხელის მოწერა

# 1926 წლის

## წელიწადი მეთექვსმეტი

სამხ. სათეატრო სალიტერატურო ჟურნალ

# „თეატრი და სსოვრება“ - სე

ქურნალი გამომავ მრ კვირაში ერთხელ 1 და 16 ჟურნალთვისას.  
 ქურნალის გამომცემის პირობები: (გაგზავნით პრაივივით)

3 თვით 6 ნომერი	6 თვით 13 ნომერი	წლიურად 26 ნომერი
1 მ. 75 კაპ.	3 მან.	6 მან.

ფულის გდგზდა ფიქლავა ნაწილ-ნაწილად.

წრემიანს მიიღებენ მხოლოდ წლიური ხელის მომწერნი.

რედაქციის და კანტორის გინა: რუსთაველის გამზ., 36. ელსმენი 22—34.





1910—1926

№ 15 (3)

(371)

თემატიკალი

რედაქციის და კონსტორის ბინა: რუსთაველის გამზ. № 36. ყოველგვარი მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს რედ. პ. რწმ. შ. იმედაშვილის სახელზე. შემდეგი მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზ. № 36. თეატრის და ცხოვრება-ს რედაქცია, შ. იმედაშვილი.

მოვარი რედაქტორის ნახვა შეიძლება ხუთშაბათობით 10—2 საათს. რედ. კმ რწმუნებული ყოველდღე 12—3 საათს. და 4—6 საათს. ტელ. № 22—34 ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

თემატიკა: კომუნა: მუსიკა: მხატვრობა: ქანდაკება:

ივ. გომარათელი

ლ ა მ ა რ ა

ფარდა ჩამოეშვა, დარბაზი ნახევრად დაბნეულია. ხალხი დაიშალა.

გარეთ რომ გამოვიდეთ, გადახალისება, ახლად შობა ვივრძენ და უდიდესი სიამაყე განვიცადებ. ეს არ იყო ზოოლოგიური პარტიოტიზმი, არამედ ცხადია ხილვა თავისი რასიული მეომბისა.

ვინც დაესწრო ოცდაცხრა იანვარს რუსთაველის თეატრში, უსათუოდ იგრძნობდა, რომ გრიგოლ რობაქიძე დიდი ადამიანია და უფრო დიდი ქართველი; მაგრამ დიდი ხელოვანნი არიან ისინიც; ვინც ლამარას ბუნებას ჩასწვდა და იშვიათი ხელოვნებით გაასახიერა.



გიორგი რობაქიძე  
ლამარას ავტორი

ლამარა არის იშვიათი სილამაზის პოეტური ნაწარმოები, ძლიერი თავისი ღვდა აზრით, ძლიერი კონსტრუქციით, ძლიერი რიტმით, მომხიბლავი თავისი შინაგანი მუსიკით დახვეწილი ენით, გამართული სიტყვით.

არე რომელშიაც იშლება და ვითარდება პიესა, უბრალოა, პრიმიტიული: მთის ხალხი და მათი სათემო ფსიქოლოგია, სათემო ადამი, ჩვეულება და შინაგანი განწყობილება სხვადასხვა დროს.

მაგრამ ყოველივე ეს არის მხოლოდ ჩარჩო, ჩარჩო მეტად ლამაზად ავტეული და ამავე დროს მეტად შესაფერისი. ვინც ამ ჩარჩოს შიგნით ნამდვილ სურათს ეყრდნობა, ის ლამარასაც ეყრდნობა და მართლაც ჩვენს დროში მოხვედრისა და ქისტების გამოყვანა სცენაზე მათი დრომოქმედი და ამოსაფხვრელი ხეივანელებით შეუფერებელია, მოსაწყენი.

ავტორის განზრახვა სულ სხვა არის, „სხვაგან ჰქარის მისი გონება მისმან თავისა წონამან“.

რას წარმოადგენს თვითონ სურათი, რომელიც ავტორმა ჩასვა იშვიათის ოსტატობით აფერადებულ ჩარჩოში? ქართველი ერის რასიული მეომბი, ანუ ჰოიზარც ოტკუვანი, რასიული სული.

რატომ მიმართა მიანცა და მიანც ავტორმა ამ მეომბის ასახვისათვის მთის ხალხს, რომელიც არც კი ჰზიარდება თანამედროვე კულტურას?

ეს არ არის უბრალო შემთხვევა, არამედ ავტორის მიერ წინდაწინვე ღრმად მოფიქრებული, აწონილი და განზომილი.

ავტორის მიზანია არა ასახვა ხალხის კულტურისა, არამედ რასიული ბუნებისა. ამიტომაც ავტორს უნდა აეღო ისეთი პირობები, როდესაც ეს ბუნება უფრო შეუძლებელია, მოკლებული ყოველგვარ ზეგავლენას.

როდის არის ერის ბუნება უფრო ხალხის ავტორის შეხედულებით? როდესაც ერი მიწასთან არის დაკავშირებული, მიწაზეა დამკვიდრებული, მიწით სუნთქავს, მიწის კულტურით სახრდობის.

მიწის კულტურა თავისებური გავებითა აქვს გრიგოლ რობაქიძეს ლონდაში, მაღსტრეში და სხვაგან.

აი ამისათვის მიმართა მან მთას—ხევსურებსა და ქისტებს.

ვინ ატარებს ლამარაში ერის ბუნებას? ყველა ერთად, განსაკუთრებით კი თორღვაი და მიწია. სხვები კი ხელს უწყობენ რასიული ბუნების გამოსახვას.

ავტორმა შემთხვევით კი არ გამოიყვანა თორღვაი და მიწია ამისა. შეხედეთ ორივეს,—სრულგზადა სხვადასხვა ბუნება.

თორღვაი ტემპერამენტი, შიშველი გავლავარებული ხმალი, რომელიც არავის და არასფერს არ დაინდობს, არასფერს არ მოერიდება, ყველაფერს დაეჯახება, რაც კი წინ ვადაელობება ამის საარსებო ინტერესებს.



მურთაზ (ლამარა)  
პაპი მასაძე

მიწია კი გულია, ჩიტის გული, მაგრამ ბევრჯერ გავლავარებულ ხმალზე უფრო მჭრელი, უფრო ძლიერი. ის მიწის გაბრაზებულ მეტრთან იმ გარდაწყვეტილებით, რომ მას თავი მოაკლევინოს, იწიოს სისხლი აღორბოს, სისხლი სწყურია, შუროსძიების ცეცხლით არის გაეარეზებული მიწის არსება და სწორედ მაშინ, როდესაც მას საწინდელი აუსრულდა, როდესაც შეუძლია, შური იძიოს, სისხლი აიღოს, კლდესებით მაგარი მკლავი ძირს დაეშეშება; ამაშია ძლიერება მიწიას გულისა და მიწია ხომ ავტორის ასახვაში რასიული გულია.



— ბედნიერი ხარო, ხეცსურნო, რომ მინდია თქვენი შეი-  
ლია! მიმართავს ხეცსურნის იჩო, რომლის ხმაღს ევრაყე-  
რი დამაგრებია, რომლის მკლავი არასოდეს არ გადრე-  
კობა.

თორღვი და მინდია ნამდილოდ ერთი პიროვნებაა,  
ისე როგორც ფაუსტი და მეფისტოფელი. თუ გაკაჟო აე-  
ტორმა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაეშუქებია სხვადასხვა  
მხარე რასიული ბუნებისა. ერთის სხრით ამჟი, შეუპო-  
ვარი, გაუტე-  
ხელი, მოკა-  
ნლილი; მე-  
ორის სხრით ქა-  
ლივით დარბი-  
ლებული, ნახი,  
ვითარცა ჩი-  
ტის გული — ის  
სხვადასხვა მხა-  
რე ჩვენი რა-  
სიული ბუნეი-  
სა აეტორის  
შემოქმედება-  
ში.



იჩო (ლამარა)  
ბაბაი ხორაბა

შეიძლება აე-  
ტორის დაე-  
თანხმობა. შე-  
ძლება არა ჩე-  
ნი რასიული  
ბუნების ასეთს  
გაგებაში, ხო-  
ლო პიესის  
პრობლემა რომ  
მხატვრულად

და მკაფიოდ  
არის დასმული  
და დიდის ხე-  
ლოვნებით გან-  
ვითარებული &  
გაუქმებული,  
ეს უღეგია.

რაკი აეტორმა მთავარი დედა-აზრი ეინოვრავიული  
ჩარჩოებში ჩააყენა, მის წინ წამოიჭრა ერთი სიმნელე:  
ადგილობრივი, ეინოვრავიული კოლორიტის დაძმევა-  
გრივოდ რომაქიძე აქ მეტად გამარჯვებულია. ყოველ  
წერილმანში, ყოველ სიტყვაში, თვითიული გამოთქმაში  
ადგილობრივი კოლორიტი იშვიათის ხელოვნებით არის  
დაცული. აქ საკიროა არა მარტო ცოდნა, არამედ მხატ-  
ვრული ყნოსვა, ინტუიცია.

ჩემთვის ამ მხრივ განსაკუთრებულ სიმნელეს წარმო-  
ადგენს მესამე კამარა. აქ თავიდან ბოლომდე პიეზია  
არის და დიდი სიფრთხილი და ისტატობა იყო საკირო  
რომ აეტორი თუნდაც უნებლიეთ არ ვასკილებრივად ეტ-  
ნოვრავიული საზღვრებს, მიუხედავად ამისა ერთი ყაზბი  
ნახი, ყაზბი თქმა არ არის მიუღეს მოქმედებაში, რომელ-  
ცა დიკტირატურულად იშვიათ სილამაზესა და დიდ სი-  
მნელეს წარმოადგენს.

რა თქმის პიესის შესრულებაზე? მხოლოდ რუსთავე-  
ლის სიტყვები:

„მისი მწახველსა ნახული არღარა მოეწონებია“.

გრივოდ რომაქიძე მისწრაფის — ქართული ხელოვნე-  
ბა ევროპიული ხელოვნების საზღვრებში შეიტანოს სა-  
კუთარის სახითა და მეობით, ეს არის დიდი ეროვნული  
და კულტურული საქმე.

გრივოდ გამარჯვებულია.

მაგრამ მისი გამარჯვების მოზიარეა უცილოდ ღუ-  
რუჯი.

ლამარას ხელოვნური წაითხული მაქვს ბევრჯერ, რო-  
გორც ლიტერატურული ნაწარმოები, ის მეტად ლამაზია,  
ნახი და მწინდა, ვით მისი გვირბი — მინდისა გული.

მე ვშიზობდი, რომ სკენაზე ვერ გამოჩნდებოდა პიესის  
სილამაზე და ამიტომ მაყურებლისათვის გაუგებარია და-  
რჩებოდა.

ღურჯამა ყოველ მოლოდინს გადააქარბა. პატარა  
და დიდი როლი გაჭყა, ვითოიანდა, — ყველა დიდი  
იქცა; პატარა და დიდი მსახიობი აღარაა იყო — ყველა  
დიდი გახდა. აეტორის ყოველი ტიპი თვითიული მსახი-  
ობის თამაში გამოყვითილი იყო, როგორც ქანდაკება  
და ყველა ერთად იშვიათის სიმწეობითა და შეთანხმ-  
ბით უწყობდა ხელს საერთო სურათის შექმნას.

ანსამბლი იყო უნაკლო. ღურჯამს არ დაუხზოვავს ძალ-  
ღონე, დიდი ენერჯია დაუხზოვავს და დიდი შრომა გა-  
უწყვეა. ამიტომაც ყოველ გამოთქმაში, ყოველ მიხვრ-  
აშიზობის, თვით პაუზებშიაც კი დიდი ხელოვნება იყო.

ღურჯამის ხელით ახალი, დიდი საქმე კეთდება მტკი-  
ცივ, ენერჯილად; ღურჯამის ხელით ქართული ხელოვნე-  
ბა ფრთებსა ჰშობის და მიჭვრინავს გაბედულად, ამა-  
ყად, იმედიანად მსოფლიო მწვერვლების დასაყარობად.

ხორავა, ვასაძე, უ. ჩხიძე, დავითაშვილი, ქავჭავაძე,  
ლამაზაძე, ადამიძე — ყველა, ყველა დიდი მსახიობი იყო  
ამ საღამოს.

დავითაშვილმა მოგვცა ფრანცისკ ასიზელის სახე და  
მისი თამაში მხატვრულ ზომიერებით და სილამაზით იყო  
აღსავსე. ვასაძის გადმოცემაში კეთილშობილი და მთის  
ადათის პატივისმცემელი მერთაზ უნაკლო იყო. უბრალო  
მიხვრა-მოხვრა და მოძრაობითაც კი ვასაძე იძლეოდა  
მთელ ბუნებასა და შინაარსს მთის ცხოვრებისა და ადა-  
თისას.

უ. ჩხიძეზე უკეთესი თორღვი წარმოუდგენელია. მი-  
მიკა, მიხვრა-მოხვრა, გამოთქმა, მოძრაობა, თამაში, ყო-  
ველსეგრში უნაკლოდ გამოსცივება აზიერთებული და  
დაუცემელი ბუნება თორღვისა.

თამარა ჰავჭავაძე მეტად მოხდენილი ლამარა იყო. მი-  
სი მიმიკა, მიხვრა-მოხვრა აღსავსე იყო მთის ქალის სი-  
ამაყით, სინატფით, სირბილეთი და სინაზით.

დათიყო ჩხიძეც არამეუღლებრივი იყო ამ საღამოს.

ხორავას თამაში, მისი ტემპერამენტი, მისი ცეცხლი  
ვის არ მოეყვანდა ალტაცებაში. მან იჩოს სახით მოგვცა მთე-  
ლი ბუნება, მთელი სასიათი მთისა, მთელი რასიული  
მეობა; დაიპყრო, დაატყვევა მთელი აუდიტორია და გახ-  
და ნამდვილი ჯადოსანი, რომლიდანაც თითქმის ელექტ-  
რონის დენა ვრცელდებოდა მთელ დარბაზში და მსმე-  
ნელს ათრობდა, ნეტარების ეროვნულსა ჰგვრდა.

მსახიობმა გვაჩვენა უდიდესი ტემპერამენტი, უძლიერე-  
სი დაქიშვა ნერვებისა, თავბრუნდამხმენი ექსტაზი და  
ხელის გულზე გადმოვივალა მთელი ბუნება თათლისა.

მუსიკა და დეკორაცია უნდა შეეთანხმებოდეს აეტო-  
რის დედაზარს. აეტორი რასიულ ბუნებას ერისას გვი-  
აშკარავებს მინდიას და თორღვისა, ამავე დროს მისი  
გვირბების არე არის მკაცრი, ბუმბერაზი მთა.

დეკორაციის ფერებში იყო სინაზე მინდიას გულისა,  
ხოლო არა სწინდა დაუცემლობა თორღვისა და სიდიადე  
მისი ბუნებისა.

მუსიკა კარგი იყო; მაგრამ აეტორის დედა აზრს სრუ-  
ლად ვერ გადმოცემდა. იმის ტონებში ჩვენ გვესმოდა  
ღარბილებული თრთოლება მინდიას გულისა ხან ნახი,  
ხან ტკილი, ხან სევდიანი; ხოლო ყურს არა ჰხიზლავდა  
ტემპერამენტი თორღვისა და ქუხილი იჩოსი.

— აღნიშნული საღამო იყო სრული გამარჯვება გრივოდ  
რომაქიძის, ღურჯამისა და ქართული ხელოვნებისა.



კოლაუზ ჩიჩიძე

ლადო გულიაშვილის მხატვრობა „ლაზარა“-ში

დეკორატიული მხატვრობის ასპარეზზე ლადო გულიაშვილის ეს პირველი გამოცემა... მისთან ის საშუალოზე დასვეს მატარებელიდან გადმოსვლისთანავე და ამქარგულ მუშაობაში ბუნებრივია—ცოტა რამ გამოჩნდებოდნენ მხედველობიდან. მით უფრო საინტერესოა ის წარჩინება, რომელიც ეტყება მხატვრის ერთი მოქმედებიდან მეორემდე.

ჯერებელი. მხატვარი იწყებს ანბანიდან: იწყებს რა დროებით, რომ ის მხატვარია, ის აშენებს, როგორც დღეგალი.

მეორე მოქმედების ქიხი ეს უბრალო მიწურია, პატარა სვეტებზე დაყრდნობილ და ირიათ დადგმულ ბანით. იისფერი ვახანება აძლიერებს შერბობის სიმძიმის შიამბეჭდილებას და ხაზს უსვამს სიმრტყეების კონსტრუქციას, ეს კი მეტად საჭიროა თანამედროვე დეკორატიუ-



თორღვაი („ლაზარა“) შუანგი ჩიჩიძე.

ლი ნაწინობისათვის. ასეთი წახანავები ნაშენობა მოცემულია მხოლოდ მეორე მოქმედებაში. მერე კი მხოლოდ მხატვრობაა. დეკორატიორი მუშაობაში შწიფდება, ანახლებს რა წმინდა სენანურ ძერწვის და მაგარ ლოლი—კას: Домов своего „Моста“ (მონოგრაფია 1923 წ. პარიზი) რეალიზმს ჯგერაი აქვს დასმელი. საყდარი მესამე მოქმედებისა ირიათ დაქანებული გაცილებით მეტ მოძრაობას აღძრავს ვიდრე პიხის წასაკეციად გამზადებული კოშკი.

გველისებური ნარღვევი კედლისა, ჩრდილებით ხაზვასმული, თითქოს მეხის დანაგრვის შთაბეჭდილებას ჰქმნის.

ფანჯრები ზარდაცემული გარბიან აქეთ-იქით და ჯგერაი გაცივრებით მოხრილა. მთლიანობა ასეთ ძლიერ ილუთებისა ქმნიან გამახვილებულ და მასთან თავშეკავებულ შიამბეჭდილებას და მოქმედებაში არ იჭრებიან.

უკანასკნელ მოქმედების მთიული სოფელი—ეს მალაი ბროგაა სახლებისა თხემისკენ აწეული. არც ერთი სისწორე, ყველაფერი საშინლად დაქვიშული, მასთან ძლიერი ვით კისრები გულიაშვილის საყვარელ ცხენებისა.

აქ არ არის მთიულის სწორი (ბრტყელი) სახურავი, არამედ მომრგვალო დაქანება ფარდულის, მეტად ლამაზი კუთხეები მიწურებისა, ვიწრო ფანჯრები გათეთრებულ კედლებისა თანდათან მკირდება და ბოლოს ბრმავედება სიმაღლეში. ეს ნამდვილი მთიულეთია. ყველაფერი ერთად კი თუშური ყველის ბრო-



ლაზარა თამარ ზავეზაძე.

ვას გვაგონებს, მთიულის მარჯვე ხელით შეკრულს. ფარშავანგის ფრთებისებური პეიზაჟი, მთელი დაჭირი მდებარეობით გამოიყოფიან. აქ მას არა ჰყავს წინამორბედი და გულიაშვილი კიდევ იმუშავებს ამ დარგში და უსათაოდ დასმულეს ამ ამჯანას. ამის თავდება

წმინდა თეატრალური ვადანბრა მისი შემოქმედებისა. ევაქტი მიწვეულია წმინდა მხატვრული საშუალებით. აქ არ არის თანამედროვე თეატრის მოქმედი ბერკეტები: ნაშენობა და საფარკიოდ გამზადებული სიმრტყეები, რომელნიც სივრცისთვის იბრძვიან.

როდონე ძორაძე

ნიღაბი

ი ევებერთელა დარბაზი ხალხით იყო გაქედილი. დარბაზში უმთავრესად ქალები იყვნენ. რვა მარტი იყო, ქალთა მოძრაობის საერთაშორისო დღე, ამ დღის აღსანიშნავად მოხსენებას აკეთებდა ახალგაზრდა მომხსენებელი. ეს მოხსენება ექვს საათზე იყო დანიშნული. შვიდ საათზე ხალხი შეკრიბა. რვა საათზე მომხსენებელი მოვიდა და ნახევარი საათის შემდეგ კრებულს გახსნეს.

ლამაზთ ლამაზაკობა მომხსენებელი. თურმე უწინ ქალი მამაკაცის სათამაშო ტიკია ყოფილა. თურმე უწინ ის კერძო საკუთრება ყოფილა, უფლება-აყრილი, პირიუტყვი და საშობაიარი მანქანა, დამონავებული და დაბეჩავებული, პირობების ტყვე და ბოიკოლებში მობარული. განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდა მომხსენებელი ათობა-ზნობების საკითხებზე. ილაპარაკა ახალი

ქვეყნის შესახებ, სადაც ქალი სწორუფლებოვანია მამაკაცთან, სადაც ქალს არ უყურებენ, როგორც კერძო საკუთრებას, სადაც ქალი თავისუფლია თავის მოქმედებებში, სადაც სიკაწულეთით კი არ განიზომება ქალის სიპატიოსნე და სიკარგე, არამედ იმ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით, რომლითაც ის ამარბლეს თავის სოციალურ ღირებულებას.

— მამ, ამანავებო, გაუმარჯოს თავისუფლო ქალს თავისუფლო საზოგადოებაში!—დამაბოგრა მომხსენებელი.

პატარა ტანისა, ქერა თმანი, ლურჯ თვალებიანი, მუდამ სველიანი, უსიკიცხლო და უხალისო ანიკოც დარბაზში იჯდა. მოხსენების დასაწყისის ის ამოქანარებდა, როგორც სხვა ყველანი. მოვიდა იმიტომ, რომ მოსვლა სადღოდლეული იყო. მართალია, გამოცხადებული იყო:—დასწრულა სასურველიაო, მაგდამ ანიკომ იკოდა, რომ ასეთ შემთხვევაში სასურველი სადღოდლეული იყო. ამას



ამტიკებდა გამოცხადების ფურცელიც; რომელზედაც ხელი უნდა მიეწერა ყოველ დამსწრეს. ანაკიმ იმ ფურცელს ორჯერ მოაწერა ხელი; ერთხელ თავის სახელი მოაწერა, მეორეჯერ თავისი მეგობარი ქალისა, რომელიც კრებაზე ვერ მოვიდა. შემდეგ ანაკო უკან რიგებში დაჯდა კარბთან ახლოს; ფეხობდა: როცა წინა რიგები გაიხსნა გვიანარებო. წინა რიგები ვაივსო, მაგრამ ანაკო დარჩა.

რატომ დარჩა? რისთვის?—ბევრჯერ მიუთქა შემდეგ ეს კითხვა თავისი თავისთვის ანაკოს, მაგრამ პასუხა ვერ უპოვინა.

ხშირად ადამიანი მოქმედობს ყოველგვარა ლოლიკის გარეშე, მაგრამ იგი მოქმედება მომდინარეობს მისი სულიერი სიღრმიდან, მთელი მისი არსებიდან და იმ მოქმედებაში უფრო იშლება ადამიანის სული, ვიდრე მოუქრებელსა და ლოლიკურში.

რატომ დარჩა? შეიძლება ბედისწერამ დასტოვა. ჰო, ბედისწერა! ანაკოს ხსოვდა დედის კალამით გავანილი ზღაპარი; ყოველი ადამიანის დაბადებისას ცაზე ჩნდება მისი ვარსკვლავი, მაგრამ იმავე დროს ჩნდება მისი ბედისწერაც; იგი ვარსკვლავი ადამიანს გზას უნათებს, იგი ბედისწერა ვარსკვლავს თან დაყვება, სურს დარჩილიყოს, მაშინ როდესაც ბედისწერა ვარსკვლავს ღრუბლებით გადაფარება, ადამიანი ჩაიდუნს საბედისწერო მოქმედებას.

შეიძლება, ანაკოს ვარსკვლავს იმ საღამოს ბედისწერა გადაეფარა?..

II

მუდამ უხალისო, სევდიანი და უსიციოცხო იყო ანაკო?

აია! უწინ იგი ფრთებ-გაშლილი ჩიტებით დანავარდობდა. დღითი კისკისით იღვიძებდა და ღამით ღამილით იძინებდა. მისს ლურჯ თვალებში ბევრჯერ აძვრიულან ვნების ტალღები, მაგრამ არავისი ვაყვაცხებულა ტანი არ ვაგარიღებულა იმ ტალღებში. ბევრჯერ ავუღუგუხებულან ანაკოს მუძებში უცნაური ცეცხლისაგან, მაგრამ არავინ არ გემთბარა იმ ცეცხლიან. მარათალია, თუაზღვრებულან, ხელებს გაითობდენ, მაგრამ მზოლოდ ხელებსა.

მაგრამ ერთხელ მაულოვნად და უცნაურად ამიღერეს ლურჯი თვალები, ავუღუგუნდნ მუძები, მუძებები, გაიხსნა აზღუდი და დაკარგა ანაკომ ის, რასაც დაიურიუნებულ დაირაჯე ედგა მრავალ წყლითა განსაზღვრებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ანაკოს უცნაური ზნე დასჩემდა. საკმელის შერჩევა დაიწყო. მკაცრ შეუყვარდა, ტკბილზე გული აიტრუა და ნერვიული შეიქნა. ამ ხნისაგან ანაკო ერთმა ექიმმა იხსნა და კვლავ დაუბრუნა ანაკოს ტკბილულობის სიყვარული, უკვე მკაცრს არ ეტანებოდა და ნერვებზე დაუწუნარდა.

— მხოლოდ შენ, მე და უცნობმა ექიმმა ვიცით ეს—უთხრა ანაკოს დედამ.

და დაირაჯე:—აწი ქუთით იყავი.

ანაკო ქუთით იყო. ყოველ ვაჭრს მტაცებელს ხედავდა. ყოველ მამაკაცს უნდობლობით უუფრებდა. ამ უნდობლობამ დააკარგინა ხალისი, შეიყვარა სევდა და გახდა უსიციოცხო.

მაგრამ ცხოვრება არ ეტევა შეზღუდულ, გაზომილ და უძრავ ჩაჩრებში. შეზღუდვა, გაზომილობა და უძრავობა სასაულოაოხე. ცხოვრება გერ იგუბს ხელოვნურ გაყინულობას და ცოცხალი ადამიანისათვის საჭიროა თავისუფალი პაერი, თავისუფალი აზრი, თავისუფალი მოქმედება.

და მან, რაც ჩაიუბა გულში ანაკომ იმ შემთხვევის შემდეგ, იმ საღამოს გადმოხეთქა მძვარად და დაშუილით. გახსნა ანაკოს გული და გათბა გათხროლი სული.

— ჰო, ახალი ცხოვრება იწყება. ახალი ხალხი რეინის ნაბიჯით მოაბიჯებს. წარმეყრლია ეს ხალხი, მაგრამ გული გახსნილი აქვს ახალი, მზიანი და თავისუფალი ცხოვრებისათვის,—ფიქრობდა ანაკო, როცა უსმენდა ქალთა რაინდს.

ასე მონათლა ანაკომ ახალგაზდა მომხსენებელი ამხანაგი სოსო.

მონათლა და რაოდენიმე დღის შემდეგ მოხდა იმ რაინდის მარქვაკ ანაკოს ტბაშიში. მართალია, საკურთხეველში არ შეუშვა ანაკომ იგი რაინდი, ძირაფხის თასიდან არ აზიარა ვნების ზიარებას, მაგრამ ზიარებისათვის საჭიროა ორი სკუიკვრა; ანაკოს მკერდზე ამოხლილი, ჩაბუხა და ჩაბუხა იმ რაინდმა.

— აწი ქუთით იყავი,—ავანდებოდა ანაკოს დედის სიტყვები და განიერს თემობს მძლავრად კუმშვავა, ფეხებს ვეარედიანდ გადაკლებდა ერთი მკორეს, როდესაც რაინდი მოისურვებდა საკურთხეველში შესვლას...

ასე მიდიდა ანაკოს ცხოვრება ერთ საბედისწერო დღემდე.

III

ერთ დღეს კი სოსომ უთხრა ანაკოს:

— ამხანაგო ანაკო, ასე ვაგრძელება შეუძლებელია. მწყურვალს ან არ უნდა ანახე წყალი, ან, თუ ანახე, უნდა დააღაინო, მშვიდობით!..

და სოსო ადგა. ქუდი დაიხურა და კარებისაკენ წავიდა.

თმებგაშლილი, ახლედ-ვახსნილი, ეინაშლილი და ვენება მოკლავი ანაკო ვეფხვივით წამოვარდა ტახტიდან და იმ კარებს გაუღებელი რახასავით გადავარჯა.

— არ გაგონებ?!—მტიკედ და მკეთრად უთხრა ანაკომ სოსო.

და იმ ორ სიტყვაში კაეობდა ქვა და ქვაობდა კაცი.

— მაშ დამნებდი!—მიუგო სოსომ.

— არსოდეს,—და ანაკო ერთი ორად გაიხარდა, ყელი მიიღოდა გასასრული ისარივით, აშოლტდა აშოლტული სახრესავით, შეკრა წარბები და შეიკუმშა მუშტები.

— ანა რა გინდა, ქალი?

უტეც იგი ყელი მოიხარა, წარბები გაიხსნენ, ხელები ძირს დაეშენნ დაქროლი ფრთხვივით, აწიოლდენ ლოყები, ანუქდენ ქსერი და მზრები, დაპატარავდა ანაკო და ძლივს მოიგს წიაღულღურა:

— შემირათე...

ითითოს მთის თხემს ერთი ქვა მოხსლტა, მერე იგი ქვა მეორის დაეცა. მათ გაიყოლინ მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და დავორდენ ძირს ქვათა მერათასინი რახა-რუხით, მბაურობით... ისე იციწოდა სოსო.

— ხა, ხა, ხა, ხა!.. ხა, ხა, ხა, ხა!.. ანაკო, ჩემო პატარა ანაკო! რატომ აქამდის არ მოთხარი? ეს ვაგრებო? ხელოვ, დღესვე, ახლავე წვიდობ... ახლავე, ჩემო გოგონა. ხომ იცი, მე ვეკლსიანი ვერ წამოვალ, მაგრამ, მმმმ... ში კი. დრო შენ განსაზღვრე, მე ხომ ათასჯერ მიითქვამს შენთვის; ჩემთვის მერთვა არ შერთვა არ არსებობს. გვიყვარს ერთმანეთი, ვასურს ერთმანეთი და შერთვაეც ეს არის...

და სოსომ აიტაცა ანაკო, დაისვა მუხლებზე, ჩაავლი თემბში ხელი, გადაუხნიქა კისერი და გახსნილი აზღუდში ჩამოა პირი.

— მაშ ხელო წავიდეთ, სოსო, გენაცავო! ხომ იცი, ფორმალური მხარე საჭიროა, აუცილებელია,—ამბობდა ანაკო, მთ მისი პატარა, მაგრამ მუდუნ ტანი ირხობდა, როგორც ლერწამი ქართავან.

— ხელოვ, ხელოვ, ანაკო! ახლა კი, ახლა დამიმტკიცე, რომ ახალი ქალი ხარ, რომ ბურუხაბილი შეხედულუბნა და წყვეტილი გაქვს, რომ ახალ ქვეყნის მთავარზე ახალი სიყვარულით დავხარ. დამიმტკიცე, რომ ახალი ქალი ხარ...

და ანაკომ დაუმტკიცეკა სოსოს ახალი ქალობა, ხოლო ეს დამტკიცება საბედისწერო აღმოჩნდა. სოსომ აღმოჩინა, რომ ახალი ქალობა უკვე სხვისთვის დამტკიცებია ანაკოს და დამტკიცებია ისეთის სიბეჯეთით და გულმოდგინებით, რომ ახალი დამტკიცებისათვის არავითარი შრომა ან იყო საჭირო.

სოსო წამოდდა იმედგაცრუებული, ალექსანდრე მაკედონელივით მოიღოდა მშალი ზღაპრული ცანძის ვასაკრეოდან. ხოლო იგი კვანძი უკვე გახსნილი დაწვდა. მამაკაციში საუკუნობითი შექმნილი მოლოდინის სიტკიცება მოულოდნელმა აღმოჩინდა მოულოა. ვაყის ნიქტიტი ძლიერი და ვეფხური, მოიხარა და მიიღუნდა. ვაეობამ ქალობას წარუღდინა ათასწლობით განმარჯობილი და



გაკაცებული, გარდაუვალი და აბსოლუტური, დედის რძესთან ნაწივი და აკანთიან დარწმუნო მოთხოვნილება.

— იყავ ქალწული!

და ყოველი იდეა, ყოველი თეორია, ყოველი ლამაზი სიტყვა, შექმნილი ახალი ადამიანისა და ახალი ქვეყნის შესაქმნელად, დაძაბუნდა და დაპატარავდა იმ მოთხოვნისთვის წინაშე.

ანიკომ იგრანო ყოველივე ეს. იგრანო და გახვედა. განძრევისა ეშინოდა, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში.

სოსომ საყვოლო შეიბნია, ქუდი ხელი აიღო, ანიკოსკენ მობრუნდა და ცივით უთხრა:

— მე შენ პატიოსანი მეგონე! მოგსტყუედი... ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულია... სამუდამით... მშვიდობით...

და ანიკოს ვარსკვლავს ბედისწერა დაეწია. დაეწია და შავი ყორანივით დასჩხავლა:

— ანიკო! ანიკო! ყუაა... ყუაა... ქერა თმინო და ლურჯ თვალებიანო ანიკო! ვინ იყო ის, ვინც მოგიწოდებდა მზიანი ქვეყნისაკენ? ვინ იყო ის, რომ გიმტყუებდა: ქალის სიპატიოსნე ქალის კაბაში კი არ უნდა ემოსი კაცმა, არამედ იმ საზოგადოებრივ შრომაში, რომელითაც ქალი ამართლებს თავის სოციალურ ღირებულებას? ვინ იყო ის, ვინც დასჯინოდა სიქალწულებს? ანიკო, პატარა ანიკო, ვინ მოგაყენა ესოდენი დიდი შურაიკყოფა? ვინ გიყვედა თავისუფლებისაკენ და ვინ მოგიტარა თავისუფალი გზა?... ყუაა... ყუაა...

— სუსტის წიგნი მუდამ ცრემლით დაწერილია და ტანჯვით აკონძლი... ანიკო, პატარა ანიკო, ყველანი ნილაბით დადიან... ყველანი... ყველანი... ყუაა... ყუაა...



მედა მარგველაშვილი  
ქ ქობულთის აკად. დრამის მსახიობი  
ქობულთაში ტრადიციულად დადებული.

თეატრი გომელაშვილი

ქველი წერილები

ალბათ თქვენც, ჩემო ახლობელო მკითხველო, შეხვედრიხართ შემთხვევით ძველ განჯინაში ან ბებისა ნაშბითვე დაეკანგულ სივრცეში, რომელსაც გასაღები რაღაც მისტიკურის რაყეებით ადებს. ჭრელს ბაღდაღში, ან ატლასის ნაქერში გახვეულ ძველ წერილებს. მას ზევიდან ოქროს ფერის აბრეშუმის ძაფი აქვს შემოხვეული...

თქვენც აუტანხიხართ ამ დროს ცნობისმოყვარეობას, იქვე მოგრიხებთ ფეხი, სასოებით შემოიხსნით ეს ძაფი და გაყვითლებულ ფურცლებზე ითიქმის გადასულ ასოებს დიხმარს ჩაქუჩებრიხართ... გამოუთქმულ ნეტარებას მის-ქემიხართ აღბათ ამ დანაოტივეულ წერილების კითხვით... აი, სდგებან ჩვენ წინ სახეები ჩვენი ბებებისა, რომლებიც თვითმოთხუნი, მაღალის ჩიხტონ, მსუბუქის ლეჩა-ქით ლაზათიანით მორთულ ქართულს კაბაში, კრიალო-ნინით ხელზე, ფართო ტანტზე ფეხ-მოკეცილი სხიდან მუხლებზე ერთ ნაფეხთ ქალაღზე ბატის ფრთის წვერის ავლებენ და გამოჰკავენ: „თებერვალსა ესა წელსა ჩ ყ ღ დ... ჩქნსო სასურველო!“ რა ლამაზი და ღობა, სუფთა და უსაზღვროა აქ ჩაქსოვილი გომბანები; რამდენი უანგარო სიყვარული მარხია ამ ძველ ნაწერებში!

თქვენ ხარბად შოით ამ ფურცლებს და საცეგებით ერდებით ძველ ეპოქას, მანგის, სიროს, ენას და გერმანობებს—დაუსრულებელ გომბანებს...

საათები ჩქარა გარბიან და თქვენ გაიფრცხვანდით თქვენი საქმე, რომ ამ სივრცის გამოლაგება გინდოდათ—ზედმეტ ბაზივიდან დაცლა და მისი მუხზე გამოტანა... ასე დაგვაბოდნებთ თავზე და მივილი ეს საათები თქვენს წინაპირებს ესუბრებივით, მათთან სტოპობით. მათთან გი-ცემთ გული. და შეშდგ მოწიწებით ისევ იმავე ატლასის ნაქერში გახვევით, ისევ იმავე ოქროსფერ ძაფს შემოაღლებით და ზრუნვით ისევ სივრცეში შეინახათ ამ ძველ განძე-ულსომას... იქ სივრცის უქნულში კიდევ ქარვა მოსიანს... ეს ემბოლბაა ჩვენი ბებიანო სიყვარული—მათი „ნი-შნია“... და საყვოლო—წინდა სასიძოვ იმავე ბებიანოა...

თქვენ ვერ ჰპოვეთ აქ რაიმე გადსავლები... და ეს სივრცე კიდევ სხვა თავიგებისც შეუნახეს ამ უცნაურ ასოებს... ეს ძველი და „ბნელი“ კოხიე ნამდვილი წი-

დათა-წმიდაა თქვენის ოჯახისა; ის თქვენი მუხუშეპია, საცა სიძველეა და ღუმლი, მაგრამ მეტყველი ღუმლი... უღარესი ესთეტური დატკობა მიგოძინა მუდამ ამ ძველ წერილებიდან, კიდევ უფრო მეტი, ვიდრე რომე-ლიმე კარგად დადგმულ და ჩატარებულ ძვირებურ ქარ-თულ პიესებს: რადგან ამ წერილებში ჩემი ძველი სი-სხლი მეტყველებს, ჩემს პირად წინამორბედთ ვხედავ და ვეხები, მათ ზრახვებს ვცნობ, და აი, ამ პატარა ქალაღების ნაფუთებიდან, რომელიც ასე გულწრფე-ლად და სადათა დანაწერი, აშკარად ვხედავ—რა დიდი მანძილი გავცილდა ჩვენ ამ ცოცხა ხანში, რა რიგად სხვა ჩვენი დღის ინტერესები, ფიქრები; ვხედავთ—რა-მდენად დავმოზობივართ ჩვენ ამ ძველ ჩვეულებას, კულ-ტურას. მაგრამ ამ შექმნის დროს რა ბევრი რამაც და-გვიკარგეს; რაც ასე აფარაყებდა და აღმამხებდა წინან-დელ ქართველობას...

\* \*

აი, ეს ძველი სივრცე და მისი წერილები მომაგონა, როცა აქ შემთხვევით წაიხვეტი არჩ. ჯორჯაძემ მე V წიგნს და მასში „მასალები ქართველ ინტელაგენ. ისტო-რიისათვის“ გადავიკითხე; იქ ერთი ასეთი სურნელოვან-ი წერილია: ეს დიმიტრი ყვიფიანთან დედის მიერ მოწა-წერილი, საცა ის გადასახლებულ შვილს (ვოლოდარში) სწერს: „შენი ამბავი ყველა წერილობით მოგწერეო...“ წერილი, რომელშიაც დედა შვილს—დიმიტრის—მამართავს „ჩემო ბატკნო და ბატონო“-ო, თითქმის დედის გული-გობინოდ, რომ ეს „ბატკანი“ უხუმ ხელს რუსეთის თვითმპყრობელობის სამსხვერპლობე ასე ვერაგულად უნდა დაეცლა...

ამ წერილში ბევრი არ არის საუფლისხივით, მაგრამ სიყვარული კი უანგაროთა ჩაქსოვილი და სრულიად პარმონიული მამახელ დიმიტრი ყვიფიანის მიერ წარწე-რილი: „МОЯ СВАТЯНИА...“ მაგრამ არჩ. ჯორჯაძემ, როგორც პუბლიცისტი, ამ ძველ წერილობის ესთეტურ მზაზეც არ ლაპარაკობს, იგი საზოგადოებრივის თვალსაზრისით უდგება მას და მარინდელ მონობის ვპოქის და „მწყა-



ლობელ იმპერატორის“ დროის დასახასიათებლად იყენებს. და თან დასძენს:—ვისაც სურს ჩვენი წარსულის შესწავლა, მან უნდა იმ დროის ქალების წერილები იკითხოოს...“

და მართლაც, რამდენი ასეთი მასალა (კერძო წერილების სახით) მოიპოვება ჩვენში მამაპაპათა სკივრებსა და განჯინებში.

მისაწვნები და ხშირად გაუგებარიც ავადმეიური და წინადა ისტორიული მსჯელობა წარსულს საზოგადოებრიობაზე; აქ ხშირად ყველდფერი ერთმანეთს არ უდგება, არ ეხმარება... მაგრამ თქვენთვის საკმაოა აქ მშრალ შეჯიშობას მოსცილდეთ და ერთი ცოცხალი დოკუმენტი—იმ დროის ნაშთი—გარდავალოთ, რომ ეს წინააღმდეგობა, გაუგებრობა ვაფანტოთ და ეპოქის სურათი ნათელიყოთ.

თქვენ გინდათ გაეცნოთ ძველ ქართველ ოჯახს, მაშინდელ ქალის სტელს, მის მიწრაფებას, ზნე-ჩვეულებას? გაზაღეთ ეს ძველი წერილები და წარსული მკვდრებით აღსდგება. რამდენი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ამ ძველ წერილებს მკვლევართათვის; რამდენი აღმანიშნის და მათი მაშინდელი გემოვნების და ზრახვის ამტკვევლება შეიძლება ამ გზით! და განა მართა მკვლევართათვის? თვით ხელოვანისათვის, რომელსაც მართა ვადმოკრის და ლეგენდის საშუალებით უხდება ამ ძველი თაბის ალაპარაკება.

აქ ყოველ წერილმანს დიდი მნიშვნელობა ეძლევა და ხელოვანისათვის ამ ძველი სკივრის გახსნა ახალ აღფრთოვნებასა წყაროდ იქცევა. მართალია, ჩვენ გვიყვარს ამ განისი ჩვენების ვაშლა, ძველის შეხება და იმ ესთეტური სიამის, რასაც მის კითხვის დროს განიცდილი, არ ვინდა შეველიოთ, მაგრამ პირადი მიანიშნა ესძლიოთ...  
ყველას, ვისაც ეს სიძველე მოეპოება, როგორც არ უნდა იყოს ის, მართებს გახსნას ეს სკივრი, შემოაქვას არმდენი მათი ამ ძველ წერილებს და ჩვენც ჩავახედოთ ამ ფურცლებში, დავატკეპოს—ძველი საუბრის სუნი, ვადავამოსოთ წარსულის ფერად ხალხი, ძველი ცხოვრება ვავაცნოს ამ ძველი ქართველობის.

რა დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს კულტურას? ვინმე რომ თათნდნოს იკისრებდეს და ამ ძველ წერილებს შეაგროვებდეს.—იკისრებდეს ყოველნარი ძველ წერილების შეგროვებას და შემდეგ თავის თავად გამოჩნდებთან ისინი, რომელნიც მის გადაჩვენას და შეფასებას მივკითხვებ ხელს. ამავე დროს ეს იქნებოდა ღრმა და ლამაზი პატუვისცემა გარდასულ ოაბათაადმი—მათი ვაცოცხლება...

ჰამბურგი — ნენესთვე  
1925 წელი

**ბრიფინგ რამიშვილი**

**პირველი სარუქარი**

(ესკიზი)

იუბილეს დაწვებამდე, ორი საათის წინ, ცნობილი მწერალი—ბელოვროსტი არჩილ ედიშერაძე, უკვე გამოეყურა სადღესასწაულოდ, კონხლად ვადგეარცხნა ქალბრა მერეული ხუტუქი თმა, შევიდა სამუშაო ოთახში, ჩაჯდა სადა სავარტელში და ფიქრებს მიეცა. მოგონებთა წიგნის ვადგეარცხნის დროს, წააწყდა თავისი პირველი სივარულის ამავეს. ბეგრს ეცადა არ ფიქრა ამაზე, მაგრამ, რაკი ვერ შესძლო, ისულუბლო ვახნა ბოლომდე ვადგეარცხნა ეს ტეპილი და თან მწარე მოგონება. კი ხნის ამავეი იყო: სოფელ ბროლიეთის ახალგაზრდა მასწავლებელს ედიშერაძეს მალე ვაუვარდა სახელი როგორც ნიჭური პედაგოგს და რიგაინ ყმაწვილ კაცს. მიუხედავად იმისა, რომ ნორჩი იდეალისტი ბედმა სოფელში ჩასტყდა, იგი თვის ბედს მათეც არ ედღურადა, ვინაიდან ამ შრომელი ხალხის ვათეიტცნობიერება და მისთვის თავის ვაწირვა არჩილის მუდმივი ფიქრი და ოცნება იყო.

შოამომავლობით ვლენი იყო, თუმცა მამა მისმა ივანემ ახალურობის ძიებაში ვაატარა მთელი სიცოცხლე და ისე მოვიდა, რომ მიხანს მიიწე ვერ მიხანოა. დედა მისი ვაქართველუბლი ბერძნის ქალი იყო და მისთან ვანთქეულთი თვისი სილამაზით. შეილიც მისი სრული ვანსახირობე იყო. მოშობლები აღრე დახოცა და ობლადა დარჩენილბა, ენით ვაპოუთქეული ქაბან-წყვეტის შემდეგ, თავი თვისი კადალ აქცია. საქალაქო სკოლა და სამსწავლებლო სემინარია ცხრაშეტი წლისამ პირველი ხარისხით დასაბურლა. მცირე ხნის შემდეგ ვაამწყესტ კიდევ ბროლიეთის ერთკლასიან სკოლის ვამდეგ. არჩილი სამწერლო ნიჭითაც იყო ვადგეარცხნობელი და მალე მაშინდელი ერთადერთი ვახუთში დაიბეჭდა კიდევ მისი რამოდენიმე ლექსი და ერთიც პოემა. იმბროინდელმა კრიტიკამ ქებით აღნიშნა ახალგაზრდა მგოსნის პირველი ნაბიჯი, ბროლიეთის ნახევარი წლის მოღვაწეობის შემდეგ, ის ყველასათვის საყვარელი კაცი ვახნა. იმდენად სინტერესო იყო იმისი ვაკეთეითლის მოსმენა, რომ ხშირად შედილობდა მასთან სპატიო ვლენებით და ადგეარცხნობრივი ინტელიგენტებით. იმ კუთხის ქალიშვილების სალაპარაკოც იმ ხანად ბოროლდ ის იყო, მაგრამ მიუხედავად მგონებარე ტემპერამენტისა, თავი დინჯათ ეკერა. მაქანკლენიც ბოროლდ მოუდილიდენ, მაგრამ ის ცოლის მერთაზე არ ჰვიქრობდა და ყველას ურთი ისტურებდა. ასე მიმდინარეობდა მოღვაწეობის პირველი ხანა და აი.

თიბათვის შუა რიცხვებში, ქალაქიდან საავარაკოთ, თავი ვეცლბი, ამოვიდა ცოლშვილით თავადი ჯიბრალო ბერგენაძე, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ეწვია არჩილს ვაკეთეიტებზე. თავდეს თან ახლდა ცოლი, ოცდასამი წლის პირშიმ ქალი თინათინი და ორიც სხვა უცნობი. მიყოლიდნელი დარბაზობით ვაკეცებულმა მასწავლებელმა სტურებეს სემები შესთავაზა.

— ბატონო არჩილ, ერის ხნამ ჩვენამდინაც მოახწია და აი მოველით, რომ ვავსტკებთ თქვენი პედაგოგური სამსახურით, უთხრა ჯიბრალოდ.

— ვადლობთ ყურადღებისათვის! — უბასუხა და ქათი-ბრის შემდეგ ვანაგრბო ვაკეთეითის მიცემა. ახალგაზრდა პედაგოგმა ვამორინა ნიჭი და სტურებები აღტკეპაში მოიყვანა. დამოლოდ ამღერა მოწუფენი და კარში ვასტურა სათამაშოდ. წასულისას ჯიბრალომა ხელი გავრად ჩამოართვა და უთხრა:

— ამ დღიდან ვახუთი მიველით ამ სკოლის მეგობრად, ვეცლბი, რითაც კი შემძლება, ვიყო მისი ქობავი და ჰირისუფალი. მცირე ხნით აზრთა ვაცვალა-ვამოცვლის შემდეგ, რომელშიაც თინათინაც მიიღო მონაწილეობა, ვამომშვიდებენ ერთმანეთს.

შემეცირი თინათინი კარებთან შესდგა და ერთა ისე შეხანათა მგზნებერი თვალებით, რომ კლემ-მოსილი ვაეი შეკრთა და თავიც დაბლა დახანა.

მცირე დღეს არჩილმა ბერგენასისაგან ჩაიხე მოწვევის ბრათი მიიღო, რამაც უზომოდ ვახანა, რადგან ეძლეოდა და საშუალება კიდევ ეხანა ის, ვისი მიზეზითაც მთელი ღამე არ სძინებდა და ასე შეიკრიცა. სალაო ვამს მოწუფეკ სადათ, მაგრამ შოინათად, კობტად ვადგეარცხნა შერი ხუტუქი თმა, დაიხურა ნაცის ფერი შოლაბა და ეწვია თავდას. თინათინი ებრა სულ სხვა კაბაში იყო და უფრო შევიდა, ვიდრე პირველ შეხვედრისას.

— ვაშა, ვაშა ბატონო არჩილ! თქვენ გუშინ ყველანი ვავაგროცი. უთხრა თინათინმა, როცა მასთან მართა დარჩა.

- ვადგეარბებით, ნუ ენებეთ ჩემს ვაწიოლებს.
- იყო, სინარტულ ვამბობ, ნუ ენებთ.
- თქვენ უთუოდ ვინდათ, რომ ვაეიქცე. უბასუხა ორადე წამოწიოლებულმა ვამბრწყინებულის თვალებით.
- სად ვასწყავალი?
- სამსწავლებლო სემინარიაში... დააკამევიდა ქალის იანობისშოამარიობა და ვაბაბა იმაო შორის მიი-



რე ბასი. ქალი ვასაშტერებელ სილამაზის გარდა საკმაოდ განვითარებული, ღინჯი და ჭკიანი სწანდა.

— მუსიკა გიყვართ?  
— რასა ბრძანებთ? რომელ ქართველს არ უყვარს მუსიკა?

— გნებავთ დაუკრა?  
— ახ, რა ზომ ვიქნებო დიალბულეო!  
თინათინი მუჯღა პიანინო და მალა ნიკიერი დაკრით განკუთრებაში მოიყვანა იგი. ამდროს შემოვიდა თავადი და თინათინი რალაციისთვის ღელდსთან ვაგზანნი. არჩილმა მიულოცა ჯიბრიალის და უწოდა ბედნიერი მამა. ის საღამო მზიარულად ვაატარა და შინ დაბრუნდა მეტად კმაყოფილი. იმ დღიდან ედიშერაძე ამ ოჯახის შუღლამ სასურველი სტუმარი ვახდა. სიყვარულისაგან აღმოცენდა, ხშირად ეწვეოდა ხოლმე ბერგანძობებს. რალაც ბული კვირის განმავლობაში ქალ-ვაჟის შორის თითქოს გაბაზნებულყოფილი კაცობრი, რასაც ამტკიცებდა იმითი მუდამ ნაჯი გრძნობებით გამობარი შეხვედრა.

სამსალათაო ადგილად მიჩნეული ჰქონდათ ხეხილის შაბლი, რომელსაც მარჯვნივ ჩარბულიდა, მედგარი მხარის-რმულით მოჩუქხუხე მთის პატარა მდინარე. ახ რა რეც ძნელდება მას ამაზე დიქრი! ნამეტანის ძლიერებით ერთი იმისთვის საბედისწერო. საღამო ჩარჩა მესხებრებაში. ეს იყო მკათათვის მიჭურულში. იმ დღეს თინათინის რამდენიმე მეზობლისაც ყუენვან მინარეკილებულნი და რაკი ქალმა თავის ტკივილი მოამხებუხა, ძალა არ დაატანს და შინ დასტყდა. არჩილი მოვიდა წარბოვნი იმ დროს, როცა დღის სინათლეს ღამის ბინდი ენაცვლებოდა და ვარსკვლავთ ვუნდით მოკვდილი ფიურშიც კა საზღაორო სანახაობას წარმოადგენდა. მისალმების შემდეგ ამაწყოლი ქალი შეუძღვა მას, როგორც ყველთვის ხეხილის ბაღში. ჩამოჯდნენ სკამზე წყლის პირად და მოკყენენ ცისა და ბარისას. მალე ბადრი მთავარეც ამოვირდა და მის მუქქე მოლაპალებ თოვლით დაფენილი ბუბნებარზ მითათა მწვერვალნი და მოარაკიე მთის მინარეც დიად შთაბეჭდილებას აორკეცებდა. არჩილი მოვიდა იმ განზრახებით, რომ იმ დღეს მისთვის სიყვარული გამოცხადებინა და ასე მოქცეო. ბუნების სილადით და სიყვარულით დამოყრალი ვაჯი ამტკიცებდა და მოუთხორო ქალს თავისი თვა-გადასახელი, შემდეგ ფერადივანი სიტყვებით აუწერა თვისი ცხოვრების წარმატაცი ვეგემბიძიძეო მოუყვა მის მიერ იმ ხანად გათვალბულ მშრომელ გულზე-კაცობაზე და ბევრ სხვა რამეზე. მეტად დაინტერესებული თინათინი, სძენდა იყო ვადაცქეული, მაგრამ იმ დროს, როცა მას ედიშერაძემ აშკარად სიყვარული გამოუცხადა და ხელიც სთხოვა, შეკრთა და თვალებზე ხეიღის მიითვარა.

— ეს რას ნიშნავს, მზეთა მზეო? შეეკითხა იგი. დავიჯგრო გამიბეტებთ და ჩამწერთ უბედურეა სიანო?

— ო, რა საწყენია, რომ ბეცნს ვულწრთულ მეგობრობას ასე მალე ეტება ბოლი!

— რატომ ბაქონო?  
— ალღელბული ქალი მწუხარე სახით მიუბრუნდა და ნელი ხმით უთხრა: მიტომ, რომ იმდღე უნდა ვადაცქეულით.

— როგრო?!... ჰკითხა გაფთხიერებულმა.  
— მე სხვა მიყვარს.

ამის გაგონებაზე არჩილს თითქოს ურო დაბრტყეს თავში, მაგრამ არ შეიძინია, ხმის ამოუღებლიე მისწია პაპიროსი და თვალენი სივრცეს ვაუშტერა.

— უბედურებაა სწოვრედ, დაიწყე ქალმა: მე ვიქნებ ვაგემში ლამაზი სულის ვამძახისო, ისინი რე ამის სასახსუბოდ ყველად სიყვარულს მიცხადებენ და გენდრუქს მხოლოდ ჩემს ვარეგნობას უყუენენ. უნდა ვამოგიტყდეთ არ მეგონა თუ თქვენც იმათი ოვნი ჩადგებოდი: ნუ თუ ქალ-ვაჯთ შორის შეუძლებელია სხვა ვავრო დამოკიდებულება, ვარეგმე სესიუროსი ალტყინებისა? — ამ დროს შორიდან წყლის გელმა მოისმა ყანიდან დაბრუნებულ გლეხების მელოდიური სიმღერა.

არჩილი იღვა ვარინდული და ეს სიმღერა აბრაზებდა კიდევ. თინათინი-კი ვით მოსიყვარულე და დინჯათ და დაუვიბოთი ამჟილ-არაიგება მას, ურჩევდა სწავლის განხორბობას, რათა მისი უტყუარი ნიქი უფრო ვაგმლოლ-ვაუტურქენილიყო. ურჩევდა ცოლ-მელოიანობის მძიმე ულულში არ ჩაეკლა თვისი იდეალები და პოეტური აღმა-

თრენა. მასთან უთითებდა ცხოვრების მოსალოდნელ დიად პერსპექტივებზე.

ქალის ასეთი სიტყვები ლახავივით ესობოდა გულში უკვე უბედობით შეპყრობულ ვაბუქს და პოეტის თქმისა არ იყოს, „რადღებდაც მშენებელი იყო, იმდენად უფრო უკვირებოდა გული“. ის იყო რალაც უნდა ეთქვა, რომ მიიბრინა მოხუცმა ვადიამ და მშობლების დაბრუნება შეატყობინა. უსიტყვოდ ვამოვინდებ ეხში ბალიდან. ვამოთხოვებისანი ედიშერაძემ ჩურჩულით უთხრა:

— შვიდობით იფერიის შეეგება, შვიდობით საუკუნოდ! — და ვანშორდა. ცოტა რომ ვაიარა, უეცრეც მოესმა ქალის ნახი ხმა: არჩილ! მოიხედა და რაკი არ ვანშორდა, ვასწავა წინ, მაგრამ ნიახე ყურთან ვაუსისინა და კიდევ ვანმოვიდა (კოური მახილი. ათროლოებულმა მიიხედა, მაგრამ ეფერენ შევი ვანდა, რადან მის შემოწმევილდ მოკყენეც მივიარეს მანი ღრუბელინი ვადასწროლოდენ და არე-მარე წყვილად მოეკცა.

ვაღლდათუთული ამწყოლი მალე მოსცილდა იმ არე-მარე. მადლოებმა ხალხმა ვაუშარია მას ვამოსახივარი ნადირო და რიბინანი მარტო რკინის ხილამდე ჩაკიცლა.

ეს იმ დროს მოხდა, როცა მეცხრამეტე საუკუნე იტორის სულს აბარებდა და იწყებოდა ახალი ხანა ტერიტი მძიმეთა ვამოხეზლების. ამოვიარა ქარიშხალი და კაცობრობის ახერითებული ზღვა, ვააფთხიერო, თვის ხანპირებს ეხეთქებოდა. არჩილი მიეხზო ახალ მიმდინარობას და შეტლებინდავგაროდ ვეპქონდა თვისი წყოლილი საერთო სავანდურში. მიუხედავად პოლიტიკური მრწამსის, ის როგორც ხელოვანი, მუდამ დამოუკიდებელი იყო და ამიტომაც მის განხორბება ადელიო არ ჰქონდა რაიმე ტენდენცია. ამ ხნის ვანმავლობაში მან მიიღო მესხეთერი ვანათლება და ვაიხარადა როგორც მწერალი. ცხოვრების სიღლებიერისთან აუტანელ ბრძოლაში მას მხარს უმატებდა სიმამრებიც მუდულო ირინე, რომელმაც თითქოს დაავიწყებინა ვანვლილი მუშხარეგანი და პირქუში ყუფნა მოუტრიალა. ჰყავდათ ქალ-ვაჯი: თათარი და ნათელი, რომელიც წელს დაასრულებს საშუალო სკოლას; თათარი კი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ დარგის სტუდენტია. თვით არჩილმა როგორც მწერალმა სავრძნობა ვამაჩარეგებანი ირეგუნა და საშვეროლი კარიერა დაავიგოვინა იწვიათი რომანით და აი დღეს მადლოერი დიე ვახილს მას ოცდახუთი წლის იუბილს. მეცრე ახალი ხნის შემდეგ არჩილი დარწმუნდა, რომ მის პირად ცხოვრებას, მის წარმატებას რომა ვანსებამ შეუწყო ხელი: ცოლმა და იმან, ვისაც ამდღეს ხანი გულით ატარებს, ვისაც ოცნებით მუდამ ეტრუოდა. ერთი თვით სიტყვი და სათნოება, მეორე კი შმაკი ვენება მისი პოეტური აღმავლების ზეალმტაცი, მისი მწერლობის ძილიონის მალა ამწევი. მოგონება მასზე მუდამ ალღაზნებდა იუბილიარს და ახალ-ახალი შედევრებით აჯლოდებოდა ქართული მწერლობას. მზის საღარი თინათინი, უმეწენიერის ქალი ვერიბაში, მისი ცხოვრების შორიდან მოვიც-



ფოთის აკად. დრამის მსახიობი  
**შაბლა ხნიძელი**  
მისი ბუნებისა ვაიო მინდ. თვეში.

კიმე ვარსკვლავი იყოვო — ვაიფიქრა მან და სახე შეეპტახე-ნილმა დაპზურო კიდევ მოგონებათა წიგნი.

ის უკვე მორთულია სადღესასწაულოდ, ირინეც ემზადდება, შვილიანი არა სწანდა და ცოტა არ იყოს ეს ვარე-მარე მას აუწუხ-აბრაზებს. გერმანელი სიფაქისი კაცია და არა აუყვარს უწესიობა.

ამ დროს მუდოვიდა მასთან მორთული მეუღლე და შე-მოილაპარაკა:



— აი მეც, ბატონო მუხილიარო, ესლა ჩვენი კრუტებილა გაკვლია და ყველანი მზად ვიქნებით.

ორი მოხუცი მოუსხდნენ ერთმანეთის შვილების მოლოდინში და გააბნეს მკვირ მუსიკით.

— იცი ირინე, ამ ბოლო დროს მეტად მადიქრებს ითარის საქციელი.

— როგორ? შეეკითხა გოაცებით ირინე.

— მაგის თაეს რაიაც უნდა იყოს, რაიაც მისთვის უჩვეულო გაფანტულობას და სევდას შეუპყრია იგი.

— არაფერიც არაა, ეს შენ გენივნება მხოლოდ. ყმაწვილი ბევრს მეცადინეობს და მიტომ მოსდის ასე.

— ირინე, მე ვამჩნევ შენ რაიაცას მიმაღე, ცოლს გაეცინა, ამ დროს მოისმა ზალაში შემოსულ ახალგაზრდობის მზიარული სიცილ-კისკისი.

— ესეც ჩვენი ბავშვები, შენ კი ვინ იცის, რა არ გაიფიქრე-რე-ო უფხრა ირინემ და გავიდა ზალაში.

— ავარ დედიკოქ მოასმა ცქრილა ნათელას ხმა, ახ, როგორ გისუნება გენაცვალე ეს „პიჩესკა“. ეს „პიჩესკა“-ო და მოეხვია, მერე შეუფარდა მამას კაბინეტში და შესძახა:

— ახ, მამიკონა, რა ბედნიერები ვართ შენ გამო, რა ბედნიერები!-ო და ისიც ჩაპოკნა, ზალიდან უცრეო მოისმა დამატარობელი მუსიკა, უკრავდნ არჩილის საყვარელ სონატას, ოდესღაც თინათინის მიერ შესრულებულს. ამის გაგონებამზე იგი შეკრთა და ნათელას ხელი სტაცა.

— ეს რა ამბავია შვილო, ვინ არის, ვინ უკრავს?

— მოიცა ენა, მერე გეტყვი, ყველაფერს გმტყვი, დამკერული დიდი ხელგაინი სჩანდა.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ყველანი ყურს უღებდნ და ნეტარების შუქიც დაციალებდათ სახეებზე. უკანასკნელი აკორდიასას იუბლიარია სასწრაფოდ ყმაწვილი ზალაში და რა დანახა უცნობი ტურფა ქალის სახე; შეკვირდა თინათინ! და უკან დაიხია. ნათელა მივარდა და გულზე მიყარა, ითარო მის შორახლო იდგა ოდნავ თან-დაბირლი და დანახაზე სახით იატკას დაჰყურებდა. ირინე კი კვილი დილილით ხან ითარის გადახმედავდა, ხან უცნობ ქალს.

— შეიღობო, რას უყურებთ, გამაცნობი ნორჩი სტუმარი! მიმართა შვილებს არჩილმა.

— მამილო, გთხოვ იცნობდე: შენი ძველა მეგობრის ქალი მზია ჯანდიერი, წარუდგინა ნათელამ. ყმაწვილი ქალი მზია გასწორდა წელში, ამოიღო ჯიბიდან წერილი და გადასცა იუბლიარის.

— ბატონო არჩილ! ეს წერილი გამოგვგზავნათ დედაჩემმა და გთხოვთ თქვენი მიერ ამის წაკითხვის დროს დედაჩე თქვენი საყვარელი სონატა.

აღვლემებული არჩილი სწრაფად გავიდა თავის კაბინეტში და შეუდგა წერილის კითხვას.

ზალიდან კვლავ მოისმა მუსიკა.

„დიდით პატივიცემული არჩილ!

„ამ წერილს გწერთ ქალი ოდესღაც თქვენი უარყოფილი. თუ არა ერთი მეტად სასატო გარემოება, ამ დიდი ხნის სიჩუმეს ესლა არ დავარდვედით“ და შემდეგ ამისა წერილი მიმოხრობილი იყო მისი წარსულის

მოკლე მიმოხილვა, საიდანაც გამოიკვია, რომ პირად ცხოვრებაში არ იქნებოდა უბედური, რომ ქმარი და ორი შვილი უდროოდ არ გარდაცვლიდა. გამოიკვია, აგრეთვე, რომ ის დაღარიბდა: და კაი ხანია პირად შრომით, მუსიკის გაცვეთილებითა სცხოვრობს. ამ წერილის მომენტში, იმისი უმცროსი ქალი მზია გამოდგა, დაბოლებული აკანაშივე.

„სამ შვილში ესლა შემზრა მხოლოდ. მიუელი ჩემი სიცოცხლე, ცოდნა და გამოცდილება, მის აღზრდა-განათლებას შეეპოვა და რადან მუსიკაშიც გამოიჩინა იშვიათი ნიჭი, კონსერვატორია დაფასოლებებით. იმდენი მალე ცნობილი პიანისტკა ვახდება. ამ წერილის დროს საუბრაღებო ნაწილი ესლა იწყება და აი მეც მოგიბიხრობთ: ამ სამი-ოთხი თვის წინად, ჩემი ქალი მზია სრულიად შემთხვევით ვასცნობია ერთ ყმაწვილს და თურემ იმდენად შეჰყვარებით

ერთმანეთი, რომ ამ დღეებში დაუტოხხავდ ჯვარიც კი დაუწერიათ. წარსულს ამ შამბათსწარამომიდგინა სიძე და როცა გავიგე; რომ ის თქვენი შვილია, ჩემს გაოცებას და, გამოვსიტყვებით, სინაზრულსაც, სახლარი არ ჰქონდა, როგორც ჰხედავთ, ორივენი ფაქტის წინაშე დაგვაყენეს და თუ მიდევრობებთ შორეულ წარსულს იქ ჩვენსა, ხუბილის ბაღში, დავიხსნახეთ, რომ მაშინ თურემ ინსპეცობდა არა ჩვენი, არამედ ჩვენ შვილთა მომავალი. დილო ბატონო, რაკი ბედმა ასე ინება, გთხოვთ წრევის გულით შეიფაროთ ჩემი ანგლოზი თქვენს დამსახურებულ თითებ ქვეშ. ვფიქრობ არ გაგაწეოლებოთ. რამდენდაც შემძლო შთაბეჭერ კულტურული



ტფ. ა. ღარამის ახალგაზრდა მხახიობნი „ლაპარა“-ში  
1. მ. ბერიაშვილი—ლავას, 2. პიერ კობახიძე, 3. ეკატერინე კელია, 4. ია ქანთარია, 5. სამსონ სულაკაური (1, 2, 3, 4 მუყეყმნი)

ლომში ქართული. შეეცაყრა და შეეასწავლე მშობელი მხარე, მისი ისტორია და მწერლობა. გარეგნობით ლა მ ა მ ი, სულითაც სტატკაია; ევეი არაა იქნება ღირსეული ოჯახის ღირსეული რაღო, რომელიც შეუქმნის ძვირფას ითარს სიხარულს და ბედნიერებას. მაშ ძვირფასო იუბლიარის, მომიშენია ამ თქვეთვის უბედნიერეს დღეს, ვით პირველი საჩუქარი, ჩემი შალის ვარდის კონა. დავშთები თქვენი მარად და მარად პატივისცემელი მძახალი თინათინ ბერგენაშე-ჯანდიერისა“.

ჩაათავა წერილის კითხვა, შემოვიდა ცოლი.

— ირინე! ეს წერილი შენ გეგზებოდეგს, — და გადასცა მას. ამ დროს ნათელამ შეატყობინა „მოვიდენია“ და ორივენი გვიდნენ ზალაში. სწორედ ამ დროს შემოვიდა შუა კარებიდან საიუბლეო კომიტეტის თავმჯდომარე იასონიძე ერთი დღეობის თანხლებით. იუბლიარმა გააცნო მათ ცოლი, შვილები და რძალი.

— ბატონებო დროა! — წარმოსთქვა თავმჯდომარემ, გაუყარა მკლავი მკლავში ირინეს და გავმართა გასაველ კარბისკენ, სიდაც მათ ელოდებოდა მოზრდილი ატრომობილი. იუბლიარმა აქეთ-იქედან ამოიყენა მზია და ნათელა. ბედნიერი ითარო კი იმათ უკან მიდიოდა.

მაღე დაიხოვრა გასავალი კარები და ავტომობილიც დაიძრა.

ტფილისი, 3.XII 1925 წლის.





**ენო თაკიშვილი**

**უსათურო**

ჩემში მოვარდა მხის ნიღვარი, კახეთის ენება, ვახის ამბოხი, მაგრამ გულში მაქვს მძიმე ნაღველი და ვიღვინი, როგორც ზამნახი.

ხელებს სიჩუმე შევბო მკაცრი, ვით ირმის ნუკრი ტოტს გამოშვრილს დამძვეს სიხშირი შემოსატარი და სიკვდილიც კი ეკლარ მიშველის.

გაიშლის აზრი ცისფერ ნაწვენებს, ამიყვანს დარდი მაღალ ცისებზე, უშენოდ ყოფნა ისევ მაწვავლებს და მახსოვს როგორ მათოცე ხელზე.

შუადღის მხვებ ვლოცულობ შენთვის, ღიბულს გინახავ მე კარბუჭვლით, მწვანე სიხშირეულ ცეცხლთან შინის, წეროლს გიგზავნი სასტოკო გულთი.

მე ვარ ყამირი გაუტყუებვი და მიწას სიციხე არ მიაკლდება, რადგან შეხვედლის სიტყვათა ზევი ჩემი კოცინიგან მოვარადდება.



**პამელა ზ. ღაბიათაშვილი**

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ახნეტელის, ტუ. აკად. დრ.

**კლავდიუსი („პამელტი“)**

**აპაკი პასაძე**

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ა. ახნეტელის ტუ. აკად. დრ.

**33. შპარლ-გრონსკი**

**რეჟორ ალიზარდა მომღერალი**

(ა. ანდლუაძის დებიუტის გამო)

**პატივცემული რედაქტორი!**

თქვენ მთხოვთ გაცნობოთ იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ვეწეოდით მე და დათიკო ანდლუაძე ჩვენს დაახლოვებულ სამნახევარ წლის განმავლობაში. მე სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას, მაგრამ მხოლოდ გაკვირვებით შეგვიხიბო მისი მუშაობის გასულ ეტაპებს და შეეჩერდები მის მთავარ მომენტებზე.

1922 წ. ივლისში, ბათოში, მე პირველად გავეცანი დათიკო ანდლუაძეს. საღამოთი, ორი თვისი მეგობრის თანხლებით, შემოვიდა ჩემთან „ეოკალურ სტუდიაში“ ხმის გასასინჯად მორცხვი ახალგაზრდა. ხმის სინჯვა აღმოაჩინა მდიდარი ხმის მასალა ლამაზი ტემბრისა და დრამატული ტენორის ხასიათისა. მაგრამ მდიდარი ხმის მოცემლობას ძლიერ აფუჭებდა სიმღერის დიდეტანტური მანერა, მოკლებული სიმღერის კულტურის ყოველგვარ გავებას. მიუხედავად ამისა მე ხალისით შევუღლიე ჩვენს დროში ასეთი უცხო მასალის დამუშავებას.

ჩვენი მუშაობის პირველ დღიდანვე მე გამაყვირა ჩემს მოწვევში არაჩვეულებრივმა ნებისყოფამ, სიმტკიცემ და შრომისმოყვარეობამ. ყოველი ჩემი რჩევა, ყოველივე ჩემი მიითებდა იყო დათიკო ანდლუაძისათვის კანონი. ასე, მაგალითად, როდესაც გავიგე, რომ დათიკო ბევრს

სწევდა თამბაქოს, მე ეთხოვე მას შეემცირებინა პაპიროსთა რაოდენობა ათამდე მაინც დღეში, ვინაიდან თამბაქოს წიგა აწებებს ორგანიზმს და, მაშასადამე, ხმასაც; დათიკო მეორე დღესვე მიანება თავი თამბაქოს. ჩემი მკაფურთხილება იმის შესახებ, რომ ხშირი ქვიფი

დაუსრულებელი „მრავალ-გამიერთი“ არამც თუ აწებებს, არამედ დალუპავს მის ხმას, დათიკო ანდლუაძემ გადააქცია მტკიცე გადაწყვეტილებად: ერთხელ და სამუდამოდ ხელი აეღო ტენორის ამ დამლუპველ სიამოვნებაზე როდესაც დაიწახებ დათიკო ანდლუაძის მხრივ ასეთი სიყვარული საქმისამდე, მეც დაიწყე ცხოვრება მხოლოდ მისი ხმით და დათიკო ანდლუაძემ გახდა ჩემთვის ძვირფასი. ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო გაკეთილები დათიკო ანდლუაძესთან. მასთან ერთად მე ვანმიცლია მისი დაბრკოლებანი, როდესაც რაზე არ გამოდიოდა ისე ჩქარა, როგორც ვვინდიოდა ორთავს, მხოლოდ სიხარულსა, იმედებსა და გვეგებს არ ჰქონდა ბოლო მოცა გა-



**1. მომღერალი ღაბიათაშვილი**

აოქრა „ბალ-მასკარად“-ში გამოვიდა სადებიუტოდ.

**2. პ. რ. შ. შპარლ-გრონსკი**

და ანდლუაძის მასწავლებელი, 31 წლის განმავლობაში.

მარჯვებდა ჩვენს მხარეზე იყო. თუ როგორ ინტენსიურად ვმუშაობდით ჩვენ სიანს იქიდან, რომ 1922 წ. ივლისიდან 1924 წ. ივლისამდე დათიკო ანდლუაძემ მიიღო 624 საათიანი გაკეთილი მხოლოდ ჩემთან გარდა იმ მუშაობისა, რომელსაც ის ეწეოდა აკომპანიტორებთან



საგზაო მახინჯი

ს ი მ ე რ ა ძ ა ლ ზ ე

დილით ზეინების უკან, ოქროს ფერი რომ ეცრის, შვიდი მოიგო მუნჯამ შვიდი წითელი ლეკვი.

ცამდი ალერსი მივა; მთელი დღე ლოკა დღედა, თოვლი დამდნარა სკივრა თბილი მუცლოდან წვეთად.

როცა ქათმები მშვიდათ აყვენ კანდარას ქუჩაში, პარკში პატრონმა შვიდი ლეკვი ჩაყარა ჩუმით.

ძლივს ეწეოდა პატრონს თოვლში სირბილით ძალღ.

დიდხანს მორბევი სთვლდა ქველბეს კანკალით დალოლს.

უკან დაბრუნდა როცა განხდარ ფერდების ლოკით, მოთვარის ლუფლებში ცოცხა ეგონა თავის ლეკვი.

ზეცას ესრინდა თვალბეც ძალი ყუბილით კარში, ნელ სრიალით მოვარე შორს დაიშალა თანში.

მუნჯა კოდა ისე თითქოს დაბევეს ქვებით. და ვარსკვლავებთ ცის ცოფელი სკვირიდა ფრქვეით.

თარგმანი მიქელ პადარიძის.

ჩემგან მიცემული ვაკეცილობისა მოსმხადებლით შედგებას ყველა ვეზიდათი. თავისი მუშაობის უკვე მეორე წლის დასაწყისს დათიკო ანდლულაქე გამოდის ბათიშის მუშაოთა კლუბებში როგორც მომღიროლი. არაჩვეულებრივმა გამარჯვებამ მუშაოთა შორის არ გააბრუა ანდლულაქე, არ აუტრუა მუშაობაზე გული. პირობით: გამარჯვებამ შემავა ახალი ძალა, ახალი წყურვილი მუშაობისა და ანდლულაქე ორმაგი ენერჯითი ეციდება თავის საქმეს, 1924 წ. 23 მაისს დათიკო ანდლულაქე მართვის ბათიშში თავის პირველ მოწაფურ კონცერტს. ამავე წლის ივლისში დათიკო ანდლულაქე პირველად მიემგზავრება საკონცერტოდ ბათიშს ვარშე. მე შევადგინე საკონცერტო ტურნე საქართველოს ავარაკებში: სურამი, ბორჯომი, წაღვერი, ბაკურციხე, აბასთუმანი. დათიკო ანდლულაქემ მიიღო მონაწილეობა ამ ტურნეში როგორც არტისტმა და ყველგან იწვევდა მოწაფისათვის ჯერ უნახავ აღტაცებას.

1924 წ. 1 ნოემბერს დათიკო ანდლულაქე აძლევს ბათიშში თავის მეორე და გამოსათხივარ კონცერტს. მას იწვევდა ტელიშში ხმის გასასრუჯათ. აკადემიურ თეატრში დანიშნულმა გასინჯებამ ჩინებულად ჩაიკა, მან მიიღო სტაჟენი და უფასო სწავლების საშუალება სახელმწიფო კონსერვატორიაში. ანდლულაქე შევიდა მესტროვავის კლასში, მაგრამ ბეგრანს არ დაიჩა მისთან და ხელახლა დაბრუნდა ჩემთან ბათიშს. შემდეგ ის დაბრუნდა ბათიშიდან ტელიშის, დამოუკიდებლად მუშაობდა თავის ხმაზე და მიელოდა ჩემს ჩამოსვლას ტელიშში. წარსული წლის ნოემბრიდან მე უკვე ტელიშში ვარ, ისევ ვმუშაობ ანდლულაქესთან და გამხადე მას დემიტისათვის ოპერა „ბალ-მასკარადში“.

ახლა დ. ანდლულაქე ათავებს „ჯამბაზებს“ ქართულ ენაზე, „ჯამბაზები“ დაიდგება მისი მონაწილეობით ქართულ საოპერო სტუდიაში. შემდეგი ოპერა, რომელსაც იბრერებს ანდლულაქე აკადემიურ თეატრში, იქნება „ტოსკა“, მერე „აიდა“.

მე მოვახსენებ ჩემი ანდლულაქესთან სამ-ნახევარი წლის მუშაობის ნარკვევი და შეიძლება მიუკეთე მასზე შემდეგი დასკვნა.

